

БОРЬБА ЗА ИРАКСКУЮ НЕФТЬ И «МОСУЛЬСКИЙ КОНФЛИКТ» (1923-1926 ГГ.) В КОНТЕКСТЕ «ВОСТОЧНОГО ВОПРОСА»

Международные конфликты современности имеют глубокие исторические корни. Сегодняшняя проблемная ситуация на Балканах и на Ближнем Востоке – наследие «восточного вопроса», поэтому интерес к этой международной проблеме после Первой мировой войны не угасает в современной исторической науке. Характерной чертой исторических традиций различных стран – участниц «восточного вопроса» – является акцент при его определении на зону собственных интересов. В целом видение географии «восточного вопроса» обусловлено, прежде всего, его европейской направленностью и концентрируется вокруг проблем раздела «наследства» Османской империи. Целью исследования является попытка показать, что «восточный вопрос» имел и иное политико-экономическое наполнение, и его нельзя ограничивать проблемами Черноморских проливов, «лозаннского экономического наследства». В качестве иллюстрации данного тезиса будет рассмотрен «мосульский конфликт» (1923-1926 гг.) – длительный спор между Великобританией и Турцией по вопросу о территориальной принадлежности Мосула. Происхождение этого конфликта объяснялось особым экономическим и военно-политическим значением мосульского нефтеносного вилайета в планах великих держав. В изучаемый период основными претендентами на право разработки потенциальных ресурсов нефти на Ближнем Востоке выступали английские компании, что было связано с позицией правительства Великобритании, которое, в отличие от американского, принимало непосредственное участие в формировании и проведении нефтяной политики. Последняя формировалась, исходя из ряда факторов. Во-первых, Великобритания обладала собственными запасами нефти, что ранее способствовало покупке британским правительством контрольного пакета акций «Англо-персидской нефтяной компании». Во-вторых, основной ареной нефтяного соперничества до и после Первой мировой войны стал Ближний Восток – регион, в котором, по мнению британских правящих кругов, сохранение английского господства было жизненно необходимым для интересов империи. Следует отметить, что начало конфликту было положено второй военной кампанией Великобритании в Месопотамию в 1916 году. По утверждению английского историка Т.Говарта «... в истории эта была первая попытка установить контроль над нефтяными месторождениями военным путём».¹ В этот кризис были втянуты Турецкая республика, а также народы оккупированного Ирака – арабы, курды и ассирийцы. Вопрос о будущей судьбе богатейшей Мосульской области живо волновал правительства США и Франции. По своему географическому положению Мосул затрагивал также интересы безопасности СССР и Ирана. Если учесть, что этому кризису частично была посвящена Лозаннская конференция, что «мосульский вопрос» на протяжении ряда лет рассматривался на сессиях Лиги Наций, а также был причиной нескольких заседаний Гаагского Международного суда, станет ясно, какое существенное место он занимал в системе международных отношений. Нефтяной фактор явился составной частью «восточного вопроса» и стал характерной чертой масштабности этого конфликта.

Англоязычное научное наследие, посвящённое изучению этой проблемы, представляет собой довольно большой информационный и аналитический массив,

который используется отечественными историками в исследовании различных аспектов, связанных с «восточным вопросом». При этом комплексный анализ англо-американской историографии ближневосточного конфликта 20-х годов отсутствует. Не отрицая значительного вклада советских историков в разработку проблемы исследования, следует отметить, что их видение англоязычных концепций является особым измерением историографического наследия СССР. Английские и американские историки рассматривают «мосульский вопрос» с целью оправдания политики правительства Великобритании и США в борьбе за нефтяные источники Месопотамии.ⁱⁱ Многие из них склонны считать, что «мосульский вопрос» упирался, якобы, в защиту прав курдов, населявших Мосульский вилайет.ⁱⁱⁱ Большая часть английских историков утверждает, что это был обыкновенный территориальный спор, но в результате «вмешательства большевистской России превратился в кризис».^{iv} Игнорирование «нефтяного вопроса» в англо-американских отношениях приводит американских исследователей к выводу, что мосульский кризис был обычным территориальным спором между соседними государствами. Американские историки /Е. Монро, Г.Говард и др./ ограничиваются разработкой дипломатической истории, развивая идеи о том, что США в области внешней политики на Ближнем Востоке руководствовались стремлением защищать интересы Турции от угрозы «бесконтрольного использования её природных богатств».^v Так, Г.Говард, освещая позицию США на Лозаннской конференции, утверждает, что она основывалась на принципе равных возможностей США с европейскими державами. Он пишет, что США не могли безучастно отнестись к конфликту между англичанами и турками, что деятельность американского правительства на Лозаннской конференции в отличие от английского и французского правительств предусматривала «мирный путь» разрешения конфликта и что США стремились помочь турецкому правительству восстановить экономический потенциал Мосульского вилайета.^{vi} Е.Монро, также как и Г.Говард, называет действия американской дипломатии на Лозаннской конференции «законными и беспристрастными».^{vii}

По секретному соглашению Сайкс-Пико /май 1916г./, о разделе Азиатской Турции, Мосул должен был войти во французскую зону влияния.^{viii} Но после окончания Первой мировой войны англичане, оккупировав весь Мосульский вилайет, вынудили французов отказаться от претензий на него в обмен на согласие Великобритании передать Франции Киликию, тоже занятую английскими войсками.^{ix} Английский оккупационный режим, установленный в Мосульском вилайете, продержался до вступления в силу Лозаннского договора, то есть до конца 1923 года. После чего, как и в собственно Ираке, в Мосуле был введён мандатный режим. Англичане заставили турок эвакуироваться из Мосульской области.^x

Лозаннская конференция ознаменовала начало первого этапа в решении «восточного вопроса», частью которого стал и «мосульский вопрос». На конференции для Великобритании большую опасность представляла неуступчивость Турции в «мосульском вопросе» и возможность её сотрудничества с США, поэтому правительство Великобритании предложило американским нефтяным монополиям принять участие в разработке «Туркиш Петролеум компани». Предложение носило секретный характер. США получили 25%-ю долю в разработке мосульской нефти.^{xi} В связи с этим, соглашаясь на допуск американских нефтяных корпораций в Ирак, британское правительство стремилось ещё и к тому, чтобы на Аравийском полуострове концессии контролировались исключительно английским капиталом. До открытия конференции в Лозанне госдепартамент США принял

решение поддержать концессию «ТПК» в Ираке, чтобы укрепить свои позиции на Ближнем Востоке и реализовывать политику «открытых дверей» в интересах предпринимательских кругов США. Британская политика состояла в том, чтобы урегулировать вопрос о Мосуле посредством секретных переговоров с Турцией. На Лозаннской конференции глава английской делегации лорд Керзон стремился к изъятию «мосульского вопроса» из так называемых мирных переговоров.^{xii} Он хотел превратить его в сепаратный англо-турецкий вопрос и подчинить компетенции Лиги Наций. Для достижения этой цели, Керзон вёл оживлённую закулисную работу. 30 января 1923 года госсекретарь США Юз направил письмо участникам специальной миссии в Лозанне с инструкцией относительно предложений Керзона. В письме говорилось о том, что если «Турецкой нефтяной компании» потребуется поддержка США, то «США придётся выступить арбитром в англо-ирако-турецком переговорном процессе...».^{xiii} 24 февраля 1923 года Керзон направил в Совет Лиги Наций письмо, в котором указал на крайне «серьёзное осложнение международной обстановки».^{xiv}

Таким образом, передача «мосульского вопроса» для рассмотрения его в Лиге Наций заранее предопределила благоприятный исход для Великобритании. В этом вопросе Керзон получил поддержку от представителей французской, итальянской и японской делегаций. Турецкий министр иностранных дел Исмет-паша отказался от подобного предложения. Тем самым стороны диаметрально разошлись в решении «мосульского вопроса». До предоставления проекта мирного договора Турции вопрос о Мосуле оставался нерешённым, но уже имелись некоторые признаки соглашения между Великобританией, США и Турцией. В статье третьей Лозаннского мирного договора говорилось, что «граница между Турцией и Ираком будет полюбовно определена между Турцией и Великобританией в девятимесячный срок. При отсутствии согласия между обоими правительствами в предусмотренный срок, спор будет внесён в Совет Лиги Наций».^{xv} 19 мая 1924 года в Константинополе возобновились англо-турецкие переговоры по Мосулу. Почти одновременно с Константинопольской конференцией Великобритания заставила народное собрание Ирака ратифицировать заключенное 10 июня 1924 года соглашение, которое устанавливало над этой страной неофициальный протекторат Великобритании.^{xvi} В этом случае английское правительство могло быть уверенным в создании курдского буферного государства, которое бы отделило Ирак от Турции.^{xvii} В связи с тем, что в июле 1924 года истёк срок, отведенный Лозаннским договором на англо-турецкие переговоры по Мосулу, «мосульский вопрос» переносился на рассмотрение в Совет Лиги Наций. Английское правительство письмом от 6 августа 1924 года потребовало, чтобы в повестку дня Совета Лиги Наций был включён вопрос о Мосуле.^{xviii}

В начале октября 1924 года на северной границе Месопотамии в результате столкновения между турками и айсорам создавалось крайне напряжённое военнополитическое положение. 15 октября 1924 года премьер-министр Великобритании Макдональд послал генеральному секретарю Лиги Наций телеграмму с просьбой немедленно решить пограничный спор. Обстановка на турецко-иракской границе оставалась напряжённой до лета 1925 года. В сентябре 1925 года комиссия по «мосульскому вопросу» представила свой отчёт Совету Лиги Наций. С одной стороны, комиссия признавала, что юридически Мосульский вилайет должен значиться как неотъемлемая часть территории Турции.^{xix} С другой, исходя из «потребностей нормального развития Ирака», комиссия рекомендовала при-

соединить Мосул и к Ираку, если мандат на него на последующие 25 лет останется за Лигой Наций, - т.е. фактически за Великобританией. Турция отказалась признать для себя обязательным решение Совета Лиги Наций об арбитраже в урегулировании спора и выразила протест против того, что Совет Лиги Наций на своём заседании 19 сентября 1925 года постановил в связи с тем, что доклад комиссии Лиги Наций не решил окончательно вопрос о Мосуле, запросить по данному вопросу мнение Постоянной Палаты Международного Суда в Гааге.^{xx} Обращение Великобритании в Гаагский трибунал стало наиболее удобной лазейкой из тупика, который английская дипломатия создала как для Совета Лиги Наций, так и для Великобритании. 21 ноября 1925 года Постоянная Палата Гаагского трибунала вынесла решение, что «Совет Лиги Наций на основании Лозаннского договора правомочен установить границу между Турцией и Ираком. Это решение должно быть обязательным для спорящих сторон».^{xxi} Совет Лиги Наций на своём заседании 16 декабря 1925 года вынес решение, по которому устанавливалась окончательная граница между Турцией и Ираком в основном по «брюссельской линии». Великобритании был дан шестимесячный срок для заявления о своём согласии продлить мандат на Ирак на 25 лет. Одновременно ей предлагалось заключить с Турцией соглашение об экономических отношениях и статуте Мосула.^{xxii} Накануне декабрьского решения Совета Лиги Наций по Мосулу в Турции создалось тяжёлое финансово-экономическое положение. В декабре 1925 года турецкую экономику потряс кризис сбыта. К концу февраля 1926 года он принял весьма значительные размеры, захватив не только все области торговли и кредита, но отчасти и сельское хозяйство. Английские монополии сократили все свои экспортные операции и как раз в то время, когда сельское хозяйство Турции нуждалось в реализации значительного количества товаров своего производства. С февраля и до августа 1926 года Турция переживала острый финансовый кризис.^{xxiii} Таким образом, вопрос о неизбежности внешнего займа, об обращении за помощью к иностранному капиталу встал остро перед турецкими национальными финансово-промышленными кругами. Во время мосульских переговоров турецкое правительство надеялось договориться с Великобританией насчёт займа, предоставляя таким образом Англии компенсацию за полный отказ от каких бы то ни было прав на мосульскую нефть.

Втакой обстановке 24 апреля 1926 года обе стороны пришли к решению подготовить двустороннее соглашение по следующим вопросам: 1/ установление границы между Турцией и Ираком; 2/ принять обязательства о ненападении между Ираком и Турцией; 3/ подписание экономической конвенции, которая бы облегчила Турции доступ к природным богатствам территории Мосула; 4/ вопрос о вступлении Турции в Лигу Наций. Соглашение было подписано 5 июня 1926 года. Вопрос о судьбе Мосульского вилайета был для Турции вопросом её стратегической безопасности. Оставление территории, населённой курдами, в границах подмандатного Ирака, было до подписания договора источником постоянных волнений и восстаний со стороны курдских племён. Поэтому установление границ в пользу Турции было необходимым. Однако, по июньскому соглашению 1926 года было сделано совсем незначительное исправление границы.^{xxiv} При этом, город Мосул и весь нефтеносный район целиком оставался в пределах Ирака. Турция и Ирак взаимно обязывались поддерживать добрососедские отношения. Турецко-иракская граница объявлялась ненарушимой и по обеим сторонам её образовывались зоны в 75 км шириной каждая /ст.10/. В пределах этих зон не допускалось формирование вооружённых частей, и не должно было вестись никакой враждебной другой стороне

пропаганды. За соблюдением этих обязательств наблюдала особая смешанная комиссия из разного числа представителей от Турции и Ирака. Данные обязательства устанавливались сроком на 10 лет.^{xxv}

Что касается экономического соглашения, то Турция по договору должна была заключить торговое, транзитное и таможенное соглашение с Ираком. По вопросу об участии Турции в эксплуатации мосульской нефти намечались три возможных решения. Во-первых, английский кабинет, по проекту премьер-министра Чемберлена, хотел сначала предоставить Турции часть нефтяных разработок для эксплуатации, но это решение было быстро отвергнуто кабинетом.^{xxvi} В депеше от 24 апреля 1926 года Чемберлен дал инструкцию английскому послу в Турции Линдсею отказать от этой мысли и сказать туркам, что Великобритания может предложить им участвовать в разработке нефтяных источников Мосула только на условиях аренды, но не в роли партнёра в нефтяной компании. Чемберлен объяснил это тем, что «необходимо учитывать интересы трёх правительств – Франции, США, Великобритании».^{xxvii} Англичане понимали, что это затянет переговоры, а для турецкой стороны важно было выиграть время, поэтому первоначальный проект Чемберлена не будет принят, прежде всего, турецкой стороной. Второй вариант имел ввиду выплату Турции Великобританией единовременно определённой суммы взамен отказа турецкого правительства от части годовой добычи нефти. В конце концов, было принято решение о предоставлении Турции 10% государственных доходов Ирака с нефтяных разработок в течение 25 лет. Турция дала согласие отказаться от этого права взамен на уплату ей правительством Ирака единовременно 500000 ф.ст.^{xxviii}

Вопрос о предоставлении Турции займа со стороны британских банков неоднократно поднимался в ходе переговоров. Английское правительство официально не давало свои гарантии по вопросу о займе Турции. Однако предоставление займа было обеспечено, поскольку соглашение по всем спорным вопросам между государствами давало достаточные гарантии английскому капиталу. Что же касается вопроса о вступлении Турции в Лигу Наций, то никаких постановлений по этому поводу в англо-турецкий договор не было включено. Что обращает на себя внимание в англо-турецком соглашении, так это то, что Турция не получала каких-либо реальных выгод. Правда, в силу статьи 14-й соглашения, Ирак обязывался выплачивать Турции в течение 25-ти лет 10% своих доходов. Однако, эти проблематические платежи, конечно, не могли рассматриваться как эквивалентное возмещение Турции за её отказ от нефтяных земель Мосула, тем более, что в прошлом турецкому капиталу принадлежало 25% участия в самой «Тэркиш Петролеум К». Для Турции мосульское соглашение не носило характер выгодной экономической сделки. Оно было заключено с зачётом экономических компенсаций Великобритании за политические уступки со стороны турок. Это является наиболее характерной особенностью данного договора, так как на первых этапах переговоров Великобритания рассчитывала повлиять на турецкое общественное мнение перспективами экономической помощи Турции за её отказ от Мосула, в виде займа на выгодных условиях и экономического сотрудничества во всех его формах. Но к договору по Мосулу не было приложено никакого экономического соглашения между финансово-торговыми кругами Великобритании и Турции. В целом англо-ирако-турецкий договор 1926 года, несомненно, являлся важным международным актом, менявшим всю ситуацию на Ближнем Востоке в оптике «восточного вопроса» в политике великих держав. Великобритания хотела,

прежде всего, опираясь на зависимую от неё Турцию, укрепить свои позиции на имперских коммуникациях, в первую очередь, и в зоне Черноморских проливов.

Литература:

- ¹Howarth Tony. Twentieth Century History. The World since 1900.-Hong Kong.-1983.- P.27.
- ²Toynbee A Turkey.-London.-1926; Monro E. Britain's Moment in the Middle East (1914-1956).-Baltimore.-1963; Anderson M. The Eastern Question 1774-1923.-London.-1926; Edmonds C.J. Kurds, Turks and Arabs.-London.-1957.
- ³Toynbee A. Opt.cit.-P.280; Monro E. Opt.cit.-P.73; Anderson M. Opt.cit.-P.375.
- ⁴Howard H. The Partition of Turkey. A Diplomatic History (1913-1923).-New-York.-1966.-P.297.
- ⁵Monro E. Opt.cit. – P.102
- ⁶Howard H. Opt.cit. – P.298.
- ⁷Monro E. Opt.cit. – P.76.
- ⁸La Question de Mossoul de la Signature du Traite d'admistice de Moudros(30 oct.1918).- Constantinople.-1925.- P.15, 18, 23,26-28.
- ⁹La Question...Opt.cit. – P. 15.
- ¹⁰Helmrech P.C. From Paris to Serves.- Columbus.- 1974.- P.334-337.
- ¹¹Международная жизнь. – 1926.-№1.-С.25.
- ¹²Papers Relating to the Foreign Relations.-Washington.- 1938.-Vol.II.-P.240.
- ¹³Papers Relating...Opt.cit. – P.889-890.
- ¹⁴Сообщение ТАСС //Известия.- 1923.-25 февраля.
- ¹⁵Севрский мирный договор и акты, подписанные в Лозанне. – М., 1927. – С.145.
- ¹⁶Documents on British Foreign Policy 1919-1939./ Ed. By W.N. Medlicott.-Series Ia.- Vol.1.- London.-1966.-P.773.
- ¹⁷См. подробно: Гисаров М.А. Курдский вопрос в Турции/ В сб.: Страны и Народы Ближнего и Среднего Востока.- Вып.VII.-Курдоведение.-Ереван.- 1975.-С.54-58; Никитин В. Курды.-М., 1964ю –С. 292.
- ¹⁸Иванов Л. Лига Наций. – М.,1929. – С.83.
- ¹⁹La Question de Mossoul...Opt.cit.- P.108
- ²⁰Резолюция Совета Лиги Наций, принятая 19 сентября 1925 г.// Мировое хозяйство и мировая политика. – 1925.-№3. – С.142-143.
- ²¹Консультативное заключение Постоянной Палаты международного Суда в Гааге по вопросу о статье 3.2 Лозаннского договора, принятое 21 ноября 1925 г.// Мировое хозяйство и мировая политика. – 1925. - №3.- С.143.
- ²²Решение по «мосульскому вопросу» Совета Лиги Наций от 16 декабря 1925г.// Мировое хозяйство и мировая политика. – 1926. - №3 – С. 146.
- ²³L"Economist"Orient. – 1926.-September. –P.119./ National Archives of India.- British Library? Asia Collections/ Records of the British Administration iin Aden, 1839-1967.- File 275.- Inter allied convention for the Assessment of Turkish reparation.- 10R/R,/20/A/3079
- ²⁴Договор между Англией, Ираком и Турцией, заключенный в Ангоре 5 июня 1926 года// Мировое хозяйство и мировая политика.-1926.- №5-6.- С.207.
- ²⁵DBFP.- Opt.cit.- Vol.I.- P. 838.
- ²⁶Opt. cit. – P.839.

²⁷DBFP.- Opt.cit. –Vol.I. – P.839.

²⁸Договор...Указсоч. –С. 209.

ტიუკალოვ მ. ვ.

***ბრძოლა ერავის ნათობისათვის და „მოსულის კონფლიქტი“ (1923-1926)
„აღმოსავლეთის საკითხის“ კონტექსტში***

საერთაშორისო კონფლიქტებს აქვს ღრმა ისტორიული ფესვები. ბალკანეთისა და ახლო აღმოსავლეთის პრობლემური სიტუაცია არის „აღმოსავლეთის საკითხის“ მემკვიდრეობა. ამიტომაცაა, რომ ეს საერთაშორისო პრობლემა დღემდე რჩება თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად. სტატიაში სწორედ აღნიშნული პრობლემატიკაა მეცნიერულად განხილული. მასში წარმოდგენილია მეტად საინტერესო, ორიგინალური მოსაზრებანი და ლოგიკური დასკვნები.

მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში

ახლახან მკითხველმა მიიღო იაკობ მანსვეტაშვილის „საფასით“ ზაქარია ჭიჭინაძის 1913 წელს გამოცემული წიგნის „მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“ (გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2013) ხელახალი გამოცემა, რომელსაც წამდგარებული აქვს ფილოლოგიის აკადემიური დოქტორის ეთერ ბერიძის შესავალი, მის მიერვე შედგენილი ბიბლიოგრაფია, გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა საძიებელი. პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს არის შესანიშნავი გამოცემა, რომელიც ემსახურება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, საკუთრივ აჭარაში მიმდინარე წარსულისა და აქამინდელი ისტორიული და რელიგიური პროცესების ახლებურ გააზრებას. ტკივილებით, განცდებითა და ემოციებითაა დატვირთული შესავალი წერილი, ჩვენი ქვეყნის უღამაზესი კუთხის - აჭარის ისტორიული ბედუქუდმართობით რომ არის განპირობებული. ზოგადად წიგნში ზოგიერთი რამ შესაძლოა არარეალური მოგვეჩვენოს, ასევე შესაძლოა დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ სულმნათი ზაქარია ჭიჭინაძის მონათხრობს. ეს არაა მთავარი. არსებითი ისაა, რომ წიგნს, მისი ავტორის, ასევე წიგნის გამომცემლის ეთერ ბერიძის ვრცელ წინასიტყვაობას წითელ ზოლივით გასდევს დიდი სიყვარული მშობლიური ქვეყნისა და ხალხისა, პროფესიული ერთგულება, წარმატებებით თუ წარუმატებლობებით განპირობებული სიხარული და ტკივილი. მკითხველმა წიგნში სწორედ ეს უნდა დაინახოს. მასში რელიგიური საკითხების პარალელურად წარმოდგენილია გამოჩენილ ადამიანთა დგაწლი და დამსახურება, ადამიანური ურთიერთობების, უფროს-უმცროსობის, ადამიანთა შვილების ერთგულების, ასევე ყოფისა და კულტურის, სწავლა-განათლების, ქართული ენის შემონახულობის, გამუსულმანების უმნიშვნელოვანესი საკითხები ბათუმში, ქობულეთში, მთისა და ბარის აჭარის სოფლებში, შავშეთში, კლარჯეთში, ჯავახეთში და ისტორიული საქართველოს სხვა პროვინციებში. ნაშრომში ოსმალის საქართველოს თითქმის ყველა კუთხეა წარმოდგენილი, ასახულია დაპყრობის პროცესი, დაპყრობილი მოსახლეობის სულიერი მდგომარეობა, ყოფითი საკითხები (ცხოვრება, მეურნეობა, ვაჭრობა, მშენებლობა), აღწერილია სოფლები ხეობების მიხედვით, ცალკეული ტერიტორიული ერთეულების მდებარეობა, საზღვრები და ა. შ. წარმოდგენილ საკითხთაგან ზოგიერთი რამ შეიძლება სადავო, საკამათო იყოს, მაგრამ ყველაფერი რეალური სინამდვილის წარმოჩენის სურვილითაა წარმოდგენილი. აღნიშნულ და სხვა საკითხებზე ზაქარია ჭიჭინაძისეული მონათხრობი ლოგიკური თანმიმდევრობით, საქმის ცოდნითა და პროფესიონალიზმით პირუთვნელადაა გაანალიზებული-განხილული წიგნის გამომცემლის ეთერ ბერიძის წინასიტყვაობაში. წინასიტყვაობის ავტორი ზაქარია ჭიჭინაძის მონათხრობის პარალელურად თანმიმდევრულად ფურცლავს ოსმალის საქართველოს ტრაგიკული ისტორიის ფურ-

ცლებს და გემოდღვრავს უკეთილშობილესი იდეით - პატივი მივაგოთ ჩვენს წარსულს, რომ შევძლოთ ახლის შენება, უანგაროდ გვიყვარდეს და ვემსახუროთ ქვეყანასა და ხალხს, დაეფასოთ წინაპართა ღვაწლი. თავად ზაქარია ჭიჭინაძე ხომ სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების შესანიშნავი მაგალითია.

ეთერ ბერიძის წინასიტყვაობით გამოცემულ წიგნში ცოცხლდება ქართველი მაჰმადიანების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები, მათი დარდი და ტკივილი, სისახული და მწუხარება. წინასიტყვაობის ავტორის თქმით, სარეცენზიოდ წარმოდგენილი წიგნი ზაქარია ჭიჭინაძის ბიბლიოგრაფიული მემკვიდრეობის ერთ-ერთი ვრცელი და მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც დღემდე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა. შესაბამისად, ამ წიგნის გამოცემით ჩვენს წინაშე კიდევ ერთხელ გაცოცხლდა ისტორიული ბედუკუდმართობით განპირობებული ხალხის ტკივილი და სევდა, რამაც კიდევ ერთხელ უნდა დააფიქროს ჩვენი თანამემამულენი ისტორიულ თუ თანამედროვე საქართველოში, რომ ისტორიული ბედის, სულიერი და ფიზიკური ერთიანობის, ქართული ცნობიერებისა და ეროვნული თავისთავადობის დაცვისა და შენარჩუნების გარეშე ჩვენს მომავალს პერსპექტივა არ აქვს.

წინასიტყვაობაში ავტორი აანალიზებს რა ზაქარია ჭიჭინაძის მემკვიდრეობას, ყურადღების მიღმა არ რჩება მისი ღვაწლი და დამსახურება ქვეყნისა და ერის წინაშე. მასში წარმოჩენილია ის დიდი ამაგი, რაც მას მიუძღვის აჭარისა და ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის დედასაქართველოს მოსახლეობასთან დაახლოებისა და ურთიერთობათა აღდგენის რთული პროცესის დაძლევაში. ავტორის თქმით, „ეს ის დრო და პროცესია, როდესაც დამხვდურს უნდა მასთან იყო, მაგრამ უჭირს მიღება და შენ გინდა მასთან მიხვიდე, მაგრამ გიჭირს მიახლოება, თითქოს ერთიც ხარო და არც ხარო ერთი, გაუცხოებულხარო, ესენიც გაუცხოებულან, თითქოს გენატრება, უნდა ჩაეხვიო, ენატრები და უნდა ჩაგეხვიოს, მაგრამ თქვენს შორის არსებულ ჰაერს სიმყარე შეჰპარვია. სწორედ ეს დაინახა და იგრძნო ზაქარია ჭიჭინაძემ, ორივე მხარის გულში ჩაიხედა და კალმით, სიტყვითა და საქმით ხელით შეუწყო, რომ ერთსისხლხორც მოსახლეობას შორის ჰაერი გამთბარიყო და გამსუბუქებულიყო“.

ზ. ჭიჭინაძის ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მაჰმადიანთა სოფლებში ქართული ენის შემონახულობის საკითხებზე. წინასიტყვაობის ავტორი ამ საკითხზე საგანგებო ყურადღებას ამახვილებს და ზ. ჭიჭინაძის მონაცემებზე დაყრდნობით ჩამოთვლის ქართულენოვან სოფლების რაოდენობას: ლივანაში-42 სოფელი, მურღულში-32 სოფელი, ართვინის ახლო-მახლო-20 სოფელი, ოლთისში - 10 სოფელი, იმერხევის სოფლები და ა. შ. ქართულენოვან სოფლებს შორის ავტორი ასახელებს შემდეგ დასახლებულ პუნქტებს: ხოხლეური, აგარა, შოლტის ხევი, წყალსიმერი, წითლოეთი, დიობანი, იფრევი, გზათა//ზაქარიაძეები, სურევანი, უბეძიოსი, ხემწრილი, დაბა, ბელტიეთი, ზაქიეთი, ლეონიძე, ჩიხარი, ციხისხევი, უსტამისი, გრილაგარა, პხიკური, ლივანისზირი, ჩაქველთა, ვამთა, ხარსანა, გორგოტისხანა, ოქროსწუა, ახალდაბა, გარიყლუფი, ჯუარები, მიქელეთი, მანატბა, წყეთის ბარი, დევაგულა (ზოგიერთ სოფელს დღეს განსხვავებული სახელითაც მოიხსენიებენ. დასახლებულთაგან ზოგიერთ სოფელში ამჟამად ქართული აღარ იცინან). ჩამოთვლილია აგრეთვე დასახლებული

პუნქტები, სადაც ქართული აღარ იციან, ცალკეულ შემთხვევაში ავტორი იძლევა ამა თუ იმ სოფლის ეთნიკურ დახასიეთებას და დემოგრაფიული მახასიათებლების სრულ სურათს. ზაქარია ჭიჭინაძე განსაკუთრებული პატივისცემითაა გამსჭვალული ოსმალის საქართველოში მცხოვრები ქალებისადმი, „რომელთაც ოსმალური ენა სრულიად არ იციან... ჩვეულება და ადამი ამათში სულ ისევ ქართულია დარჩენილი, ნანას ქართულად ეუბნებიან ყმაწვილებს, შეჭირვებისას „ღმერთოს“ ამბობენ და არა ალა-ალაჰს“. ამიტომაც, ქალების უფრო მეტი იმედი უნდა გვქონდეს, რადგან ისინი უფრო კონსერვატორები და „ძველის მიმდევრები არიანო“.

ნაშრომს უფრო მეტ მეცნიერულ ღირებულებას სძენს ისტორიული საქართველოს სოფლების გვარობრივი შემადგენლობის დახასიათება. ავტორი წერს: „შავშეთში და იმერხევში ძველათ გამოჩენილი გვარები ყოფილა: ათაბაგი ჯაყელი, ლასურიძე, თურმანიძე, ფანცაძე, ფულტარიძე, გორდაძე, ცეცხლაძე, ხიმშიაშვილი, კოკობაძე, ზაქარიძე, ლომინაძე, სავარსამიძე, „ქართლის ცხოვრებაში“ ცნობილი და „ამირან დარეჯანიანშიც“ მოხსენებული ქადაგიძე, მიქელაძე და ლომსაძე“ და ა. შ.

წინასიტყვაობის ავტორის დაკვირვებით, ზ. ჭიჭინაძე არა მარტო მთხრობელთა გადმოცემებს წარმოგვიდგენს, არამედ მეცნიერულადაც ანალიზებს, ხშირ შემთხვევაში იძლევა ეტიმოლოგიურ განმარტებებს, „ზოგჯერ ავტორი ერთი და იგივე კუთხეს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებს, მაგრამ ეს არ ახდეს ნაშრომზე უარყოფით გავლენას, მთავარია წიგნში მხარეების, ხეობების და სოფლების მიხედვით მოცემულია მაშინდელი მოსახლეობის ცხოვრების ძირითადი მომენტები, აღნუსხულია ცოცხალი ფაქტები, დართულია კომენტარები, ჩაწერილია ისტორიული ამბები. ამ მხრივ იგი საყურადღებო წყაროა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა მკვლევარების იმ პერიოდისა თუ უფრო ადრინდელ ავტორთა ნაშრომებთან ერთად“.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მდიდარი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ-ტოპონიმიკური მასალის ზაქარია ჭიჭინაძისეული დახასიათება, სხალთის, ტბეთის, ბანას ტაძრების აღწერილობა, მოსახლეობის აყრა-გადასახლებასთან (მუჰაჯირობა) დაკავშირებული საკითხები. წინასიტყვაობის ავტორს აღნიშნულის შესახებაც აქვს საინტერესო მინიშნებები და ანალიზი. მას მშობლიური ენის შენარჩუნების საკითხებზეც გაუმახვილებია ყურადღება. იგი აღნიშნავს: „ზაქარია ჭიჭინაძეს ნამდვილად დახვდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმედის მომცემი მდგომარეობა. ბევრ სოფელში, ხეობასა თუ მხარეში ქართული ენა პირველყოფილი სიწმინდით იყო შენახული, რომელიც მომავალში ქართული ცნობიერების აღდგენის მთავარი საფუძველი უნდა გამხდარიყო“. ვფიქრობ, წინასიტყვაობის ავტორის ამ გამონათქვამს დაზუსტება სჭირდება. ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ რა თქმა უნდა ზიანი მიაყენა ეროვნული სხეულის მთლიანობას, მაგრამ მოსახლეობას (მის ძირითად ნაწილს) ქართული ცნობიერება არასოდეს დაუკარგავს. პირიქით, ქართული ყოფისა და კულტურის ელემენტებს დააკისრა ეთნიკური ფუნქცია. ქართული ენის, ტრადიციების დაცვა კი იყო ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის გზა და ემსახურებოდა ეროვნული თვითმყოფადობისა და თავისთავადობის დაცვის ინტერესებს.

დაკარგულ ტერიტორიებზე მცხოვრებ თუ საქართველოდან იძულებით გადასახლებულ ქართველებთან დამოკიდებულების შესახებ ეთერ ბერიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს კი ნამდვილად ჭირდება გათვალისწინება. წინასიტყვაობის ავტორი აღნიშნავს: „საჭიროა დაკვირვებული და მოზომილი სიტყვა. მოფერება და გაფრთხილება სჭიდება დღეს აღდგენილ ურთიერთობებს ტაო-კლარჯეთისა და ფერეიდანის და საერთოდ თურქეთისა და ირანის ქართველ მოსახლეობასთან, რათა გადრმავდეს და განმტკიცდეს ეს ურთიერთობები, რომ ხელი შეეწყოს მათი ქართველობის იდენტობას“. წიგნის გამომცემელი ზაქარია ჭიჭინაძეს უმაღლის ქართველების იმ ნაწილის მიმართ გამოჩენილ ყურადღებას, რომლებიც ნებისთ თუ უნებლიეთ უცხოეთში გადაიხვეწნენ, მაგრამ საკუთარი ნიჭის წყალობით მიაღწიეს უმაღლეს სამსახურებრივ მდგომარეობას და შეძლებისდაგვარად თანამემამულეებსაც გაუწოდეს დახმარების ხელი. მათ შორის არიან: ოსმან და ხასან თავდგირიძეები, რამიზ, ხემიდ, რესიდ, ვასიფ დუმბაძეები, ფარხად მაჭავარიანი, მეჰმედ სავიძე, მეჰმედ და ხოსრი (ფაშა) ერისთავები, შაქირ ხიმშიაშვილი, სელიმ ცეცხლაძე, მეჰმედ გუჯაბიძე, მუსა ხუნდაძე, მეჰმედ ვახვახიშვილი და ა. შ. ზაქარია ჭიჭინაძე, როგორც პირუთვნელი მემკვიდრე არც იმ ცოდვებს მაღავს, რომლებიც ჩაუდენია ზოგიერთ ქართველს. მხედველობაში გვყავს ალი ფაშა თავდგირიძე, თუმცა წინასიტყვაობის ავტორს აღნიშნულ პიროვნებასთან დაკავშირებით ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოთქმული საყვედურები გადამეტებულად მიაჩნია და თანამედროვეთა მიერ ალი ფაშას პიროვნების ბიოგრაფიის სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს.

საინტერესოა ზ. ჭიჭინაძის ინფორმაცია მუსულმანურ სამლოცველოებთან დაკავშირებით, რაზეც ყურადღებას წინასიტყვაობის ავტორიც კი ამახვილებს. ავტორის ცნობით, ბათუმში ოსმალთა თათრებისა და ქართველი მაჰმადიანებისათვის ყოფილა ცალკე სამლოცველო შენობები, რომ ქართველების მეჩეთი ხუსეინ და იბრაიმ აბაშიძეებს განუახლებიათო. ზ. ჭიჭინაძე სანჯაყბეგ აბაშიძეების წარმომავლობას ბორჩხას უკავშირებს, რასაც საესებით სამართლიანად საეჭვოდ მიიჩნევს წინასიტყვაობის ავტორი.

ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ქართული სკოლების გახსნის აუცილებლობის საკითხებზე. წიგნში წარმოჩენილია აღნიშნულთან დაკავშირებით მოწინავე და პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მაჰმადიანების დამოკიდებულების საკითხები. ცხადია იგი წინასიტყვაობის ავტორის ინტერესების სფეროშიც მოექცა. იგი ყურადღებას ამახვილებს ზ. ჭიჭინაძის მონათხრობიდან იმ საკითხებზეც, რომლებიც ბათუმში სტამბების დაარსებასა და წიგნის მაღაზიების გახსნას შეეხება.

ზაქარია ჭიჭინაძის დაკვირვებები აჭარაში არსებული გვარების შესახებ უდაოდ იმსახურებს მკითხველთა ყურადღებას. წინასიტყვაობის ავტორს მოტანილი აქვს შესაბამისი ადგილები ნაშრომიდან, რასაც ჩვენც უცვლელად ვთავაზობთ მკითხველს: „აჭარის მცხოვრებთა გვარები უფრო ძველით მთავრდება, ზეგანისა კი შვილებით. თვით ძველ აზნაურთა და თავადთა გვარებიც კი ასე განირჩევა აჭარაში: პირფარეშისძენი ანუ დღეს ბეჟანიძეები, შარუაშიძეები, დიასამიძეები, თურმანიძეები, ბერიძეები, მიქელაძეები, თავდგირიძეები, ნაკაშიძეები, ნიჟარაძეები და სხვანი. ზეგანში: ხიმშიაშვილი, შალიკაშვილი, ავალიშვილი, ავალიანი, ბარათაშვილი, ბაგრატიონი, ჯაყელი, ორბელიანი, ერისთავი და სხვა“. დასახელებულ გვართაგან ზოგი-

ერთი აჭარაში ამჟამად აღარ დასტურდება. რაც შეეხება ბარათაშვილებს, წინასიტყვაობის ავტორის თქმით დასტურდება მხოლოდ რაჭთაში და ისინიც ფურტიოდან ასული ბერიძეების შთამომავლები არიანო.

ნაშრომში ცალკეული პრობლემატური საკითხების შესახებ მსჯელობისას ავტორი მკითხველის წინაშე წარმოსდგება, როგორც პირუთენელი და ობიექტური მემკვიდრე, ხვალისდელ დღეზე ღრმად ჩაფიქრებული მოჭირნახულე. უპირატესად ეს ეხება მოწინავე ადამიანების ღვაწლისა და დამსახურების წარმოჩენას. ავტორი გამოხატავს უდიდეს სევარულსა და პატივისცემას აჭარის მუფტის ასმედ ხალიფაშვილის, ხულოს ყადის ნური ბერიძის, ოსმალეთის იმპერიის შეიხულ ისლამის ლომან ბერიძის, ლომან ეფენდი ქარცივაძის და სხვათა მიმართ და ახასიათებს მათ დამსახურებას ქვეყნისა და ერის წინაშე. მისი ინფორმაციით, ასმედ ხალიფაშვილი მოითხოვდა სწავლასა და განათლებას მშობლიურ, ქართულ ენაზე და ეწინააღმდეგებოდა ქართველი მაჰმადიანების ოსმალეთში გადასახლებას. ნური ბერიძე კი იყო ზაქარია ჭიჭინაძის მეგზური და საიმედო ინფორმატორი, რომელიც „სოფლების ანუსხვისათვის დიდს ხელმძღვანელობას უწევდა“, რომ იყო „პატივცემული ხოჯა მთელს ზეგანში“, „პატივცემული და გონიერი პირი“. ავტორი საკმაოდ ვრცლად და საინტერესოდ ახასიათებს ნური ბერიძის სიმამრის გურჯი ჰაჯი ლომან ეფენდი ქარცივაძის დამსახურებას. ავტორის თქმით, ლომან ქარცივაძე დაბადებულია 1820-იან წლებში, ხოლო გარდაცვლილა 1889 წელს. აჭარის ოსმალთაგან გათავისუფლების შემდეგ პატივით ყოფილა მიღებული რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ და მისთვის პენსიაც კი დაუნიშნავთ თვეში 100 მანეტის ოდენობით. ლომან ქარცივაძე მიუწვევიათ პეტერბურგში ალექსანდრე მესამის მეფედ კურთხევის ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად. მას მიუღია საფუძვლიანი განათლება, შეუსწავლია არაბული და ოსმალური ენები, შესანიშნავად სცოდნია ქართული ენა. იგი წინ აღუდგა ქართველი მაჰმადიანების ოსმალეთში გადასახლების პროცესს და მშობლიურ ენაზე ეწეოდა თავისი იდეების პროპაგანდას. ზაქარია ჭიჭინაძე სტუმრადაც წვევია ლომან ქარცივაძის ოჯახს. მისასაღმებელია, რომ ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მიმოხილვისას წინასიტყვაობის ავტორი ზემოთდასახელებულ საკითხებზე ამახვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

ნაშრომში უამრავ სხვა საკითხზეცაა გამახვილებული ყურადღება. მის შესახებ ბევრი დაიწერა, ბევრიც დაიწერება მომავალში. წიგნის გამომცემელი და წინასიტყვაობის ავტორი აანალიზებს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გადმოცემულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხსა თუ მოვლენას და იძლევა არგუმენტირებულ დასკვნებს.

წინასიტყვაობის ავტორის ღირსებად უნდა ჩაითვალოს წიგნის ბოლოში დართული ზ. ჭიჭინაძის ბიბლიოგრაფია, საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი და რაც მთავარია იმ უზარმაზარი ამაგის დაფასება, რაც ჩვენს კუთხეს დასდო დიდმა ქართველმა ზაქარია ჭიჭინაძემ.

ჩვენი მიზანი არაა წიგნის დეტალური ანალიზი. მისი გამოცემით გაკეთდა უზარმაზარი საქმე. შესაძლებელი გახდა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ნაშრომის ხელახალი გამოცემა, თანაც საჭირო დროსა და პირობებში. ბოლო პერიოდში ჩვენს რეგინში მიმდინარე რელიგიურ-პოლიტიკური პროცესები ფონზე ამ ტკივილიანი წიგნის გამოცემა უდაოდ საშური საქმეა. იგი კიდევ ერთხელ დააფიქრებს აღნიშნული პრობლემატი-

კით დაინტერესებულ მკვლევარებსა თუ ზოგადად მკითხველ საზოგადოებას და დაეხმარება მიუკერძოებელი, ობიექტური დასკვნების გაკეთებაში. ჩვენთვის ამჯერად მთავარი არაა იმ კორექტურულ და გრამატიკულ შეცდომებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც მრავლადაა ნაშრომში. გაკეთებულის კრიტიკა ყველაზე ადვილი საქმეა. მთავარია, რომ გამოიცა უამრავი ფაქტოლოგიური მასალით დატვირთული წიგნი, რომელიც ჩვენი სულიერების ამაღლების სამსახურში იქნება. წიგნს ინტერესით გაეცნობა ქვეყნის ბედ-იღბლით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველი.

საარქივო დოკუმენტური წყაროები

(დოკუმენტი თარგმნა ნატო ქიქავამ)

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში

ასლი (კოპია) საბჭოთა სახალხო კომისარიატს სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარიატს ეროვნული ქონების ჩაქვის ჩაის ფაბრიკის დირექტორის

ლაუ-ჯონ-ჯაუს

მოხსენება

როგორც ჩაის კულტურის სპეციალისტი, მე ბათუმში ჩინეთიდან ჩამოვედი ზუსტად 30 წლის წინ, რუსი (ჩაით მოვაჭარე, მეწარმე) კონსტანტინე სემიონის-ძე პოპოვის მოწვევით, რომელიც დაინტერესებული იყო ამ კულტურით (სფეროთი) და ისურვა ამის გაკეთება ბათუმში თავის მამულში. 1893 წლის 4 ნოემბერს, მე, 9 ჩინელ ჩაის სპეციალისტთან ერთად (ერთ-ერთი მათგანი მოგვიანებით დაბრუნდა სამშობლოში, დანარჩენები კი აქ დაიხოცნენ მაღარიით) ჩამოვედი ბათუმში. თან ჩამოვიტანე რამდენიმე ათეული ათასი ორიგინალური ჩაის ბუჩქი და რამდენიმე ასეული ფუთი ჩაის თესლი. ჩამოსვლისთანავე მე დავიწყე ჩაის პლანტაციის გაშენება, ჯერ ჩაქვის მამულში, შემდეგ კი ორ სხვა მამულში: სალიბაურში და კაპრეშუმში. სამი წლის შემდეგ, ზუსტად 1896 წელს მე შევძელი პირველი ჩაის მომზადება კავკასიაში. შემდგომში საქმე წავიდა სწრაფად და წარმატებულად, იმდენად წარმატებულად, რომ პოპოვის პლანტაციიდან ჩემს მიერ მომზადებული ჩაი 1900 წელს პარიზში საერთაშორისო გამოფენაზე გაიგზავნა და მიიღო დიდი ოქროს მედალი წარწერით: „მსოფლიოში საუკეთესო კავკასიური ჩაი კონსტანტინე პოპოვის“ (იმავე წელს, ჩინეთში ბოქსიორების აჯანყების შედეგად, გამოფენაზე არ იყო ჩინური ჩაი, ხოლო ცეილონურ ჩაიზე ჩვენმა ჩაიმ გამარჯვება მოიპოვა).

პოპოვის მამულებში შვიდწლიანი (1900 წ.) ჩაის მეურნეობის ხელმძღვანელობის შემდეგ, მე მივიღე მიწვევა - ჩაქვის ჩაის ფაბრიკის დირექტორის თანამდებობაზე, რომელზეც დღემდე ვიმყოფები.

ჩაქვის ჩაის ფაბრიკის ახალი საორგანიზაციო სამუშაოებიდან გამომდინარე, მე მაინც არ ვკარგავდი კავშირს პოპოვის მამულთან. ასე მაგალითად, ხელახლა მომიწია მუშაობა მათზე 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, როდესაც პოპოვის ფაბრიკა დაიხურა და 4 წლის განმავლობაში სრულიად უმოქმედოდ იყო. ამ დროის განმავლობაში პლანტაციები სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული და დავიწყებული, მანამ სანამ 1909 წ. მფლობელის წინადადებით და ჩემი უფროსობის თანხმობით (მთავრობა) მე ისევ მივიღე კ.ს. პოპოვის სამ მამულზე მართვის უფლება. გაძლიერებული მუშაობით მიყრუებული (მიტოვებული) პლანტაციების სათანადო ფორმაში მოყვანა შევძელი, რის შედეგადაც მოკლე დროში პლანტაციებში მივიღეთ მო-

სავალი, რომელიც 1912 წლამდე ჩაქვის ფაბრიკაში მუშავდებოდა ჩემი ხელმძღვანელობით, სანამ პოპოვმა მიიღო უფლება გაეხსნა თავისი საკუთარი ფაბრიკა.

შემდეგ, 1918 წ. მესამეჯერ მომიწია ხელმძღვანელობა პოპოვის მამულში. როდესაც გადატრიალების შემდეგ ფაბრიკა დაიხურა, ყოფილი, მაშინ მოქმედი თურქული მთავრობის თანხმობით ჩაის ფოთოლი გადასამუშავებლად მოდიოდა ჩემს ჩაქვის ფაბრიკაში.

მიუხედავად იმისა, რომ 1919 წელს პოპოვის ფაბრიკა გახსნილი იყო, ჩაის ფოთოლი მაინც (მამულის ჩაქვის სახალხო მამულთან მიერთების გამო) ჩაქვის ფაბრიკაში იგზავნებოდა.

ამგვარად, ამ დროის განმავლობაში მე სამჯერ მომიხდა პოპოვის მამულებში ჩაის საქმის (ბიზნესის) აყვავება.

რაც შეეხება ჩაქვის მამულს, უკვე მესამე ათწლეულია შეუჩერებლივ ვმუშაობ ჩაის კულტურის საქმეში. ჩემს თვალწინ გაიზარდა და განვითარდა აქ ეს საქმე, რომელსაც შევალევ დიდი ძალა და ენერგია. ბევრს არ ვილაპარაკებ იმის თაობაზე თუ ხანდახან როგორი რთული იყო ბრძოლა და ჩემი აზრების დაცვა და დამტკიცება იმ საქმეში, რომლის ერთგული ვიყავი და მიყვარდა როგორც ჩემი შვილი. მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ ძალიან ბევრი მუშაობა დამჭირდა, რომ მიმეღწია 8 საათიანი სამუშაო დროის დაწესებისათვის და მე ვამაყობ, რომ ბოლოს და ბოლოს მივაღწიე ამას.

მახსენდება მე ასევე 1918 წლის გაზაფხულის მძიმე დღეები. როდესაც ბათუმის ოლქს მოადგა თურქეთის ჯარი, და როდესაც ჩაქვის მამულიდან თანამშრომლების უმრავლესობა გარბოდა. რამოდენიმე დარჩენილ თანამშრომელთან ერთად 2 დღე ვიცავდი ჩემზე მონდობილ ქარხანას, როგორც არჩეული დაცვის უფროსი. ამის შედეგი იყო ის, რომ ფაბრიკამ მთლიანად შეინარჩუნა თავისი ინვენტარი, მასალები და მთელი წლის ჩაის მოსავალი. წმინდა (ნათელი) სინდისით და სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამოქალაქო ომის პერიოდში მხოლოდ ერთადერთი ფაბრიკა იყო, რომელიც შემოინახა ხელუხლებლად.

ჩემი მრავალწლიანი გამოცდილების თანახმად, ჩემს თავს უფლებას ვაძლევ რამოდენიმე სიტყვა ვთქვა ბათუმის ოლქის ჩაის კულტურის შესახებ, სადაც მე გავატარე და ვიმუშავე ნახევარი ჩემი ცხოვრება.

ჩემი აქ მუშაობის პირველივე წლებში, მე დავრწმუნდი იმაში, რომ ბათუმის ჰავა და ნაიდაგი საკმაოდ შესაფერისია ჩაის კულტურისთვის და აქ სავსებით შესაძლებელია საშუალო ჩინურ ჩაისთან ხარისხით გათანაბრებული ჩაის წარმოება.

ოქროს მედალმა, რომელიც 1900 წელს პარიზის გამოფენაზე პოპოვის ჩაიმ მოიპოვა, განამტკიცა ჩემი თავდაჯერებულობა.

ამჟამად ბათუმში 800 დან 850 - მდე ჰექტარი აქვს ჩაის პლანტაციებს მოცული, კერძოდ:

1. ჩაქვის სახალხო მამული - 500 ჰექტარი;
2. კ.ს. პოპოვის 3 მამული - 150 ჰექტარი;
3. წვრილი კერძო მესაკუთრეები (თითოს 1-3 ჰექტარი) - დაახლოებით 200 ჰექტარი.

აღმოჩნდა, რომ ბათუმის მიწები, რომელიც შეეფერება ჩაის კულტურის განვითარებას, მოითვლის 10.000 ჰექტარზე მეტს, და სხვა ადგილებში, მაგალითად ოზურგეთში - 20-30 ათასი ჰექტარი.

დროთა განმავლობაში ჩაის ბიზნესი კავკასიაში უფრო დიდი მასშტაბით გაიზრდება, და ვიმედოვნებ, რომ მიაღწევს სრულყოფილების სათანადო სიმაღლეს.

მე, როგორც ძველ პიონერს, მიხარია იმის გაგონება, რომ ახლანდელმა საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია ყურადღება ჩაის კულტურას კავკასიაში და სერიოზულად დაინტერესდა მისით. ჩინეთში მიღებული ცოდნის გარდა, ამ მხარეში ჩემი 30 წლიანი მუშაობის გამოცდილების გამო, თავს უფლებას მივცემ გამოვთქვა პირადი აზრი ამ საკითხზე.

ჯერ კიდევ 1900 წელს, როდესაც ბათუმში პირველად გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, დასმულ კითხვაზე: შესაძლებელია თუ არა ჩაის კულტურის განვითარება ამ მხარეში, - ღრმად დარწმუნებულმა ჩემს აზრში დამაჯერებლად ვუპასუხე; მაგრამ მაშინ დავსძინე ასევე გამოცდილი სადგური-სა და ჩაის სკოლის მშენებლობის თაობაზე, იმ პირთათვის ვინც დაინტერესებულია ამ სფეროთი და სურთ სერიოზულად მოეკიდნონ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მოხსენება დამტკიცებულ და მიღებულ იქნა, დღემდე სკოლა არ გაუხსნიათ. საქმე იმაშია, რომ ბოლო წლებში ბათუმში ჩაის კულტურა შესამჩნევად გაიზარდა და ფართომასშტაბიანი გახდა და ამავე დროს ქარხნები მოწყობილია მთელი ადგიურეილობით და დანადგარებით. ჩაქვსა და სალიბაურიში, ყოფილი პოპოვის მამულში მხოლოდ ორი ფაბრიკაა. ამგვარად ეს ორი ფაბრიკა ვერ დააკმაყოფილებს მთელ რაიონს და ამის შედეგად წვრილი პლანტატორები თავიანთ მოსავალს ამუშავენ სახლში, კუსტარული წესებით, ყოველგვარი მომზადებისა და ცოდნის გარეშე. ასეთი ფორმით წარმოებული ჩაის გატანა ბაზარზე არის კავკასიური, ბათუმის ოლქის ავტორიტეტის შელახვა.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ ადგილობრივი ჰავაის პირობებში ყველა ბუჩქი ერთნაირად კარგად ხარობს. ასე მაგალითად, ბათუმში ყველაზე საუკეთესო სახეობა აღმოჩნდა ჩინური „კანგრა“ და ე.წ. ადგილობრივი ჩაის ე. წ. კულტივირებული ბუჩქი. გაცილებით ნაკლებად წარმატებულად ყვავის ცეილონური, ასამური, წვრილფოთლიანი იაპონური ჩაი.

გამოცდილებამ ასევე აჩვენა, რომ ადგილობრივი ჩაის პლანტაციების სწორმა მოვლამ ყოველ მესხედზე შეიძლება ყოველწლიურად მოგვცეს 1,000 ფუნტი მშრალი, მზა ჩაი. ქვეყანაში ჩაის არასაკმარისი რაოდენობრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად დღევანდელი დღის მდგომარეობით, ჩაი მზადდება ძველი ფურცლისგანაც, რომელიც ხარისხით არ გამოირჩევა. ყოველი მესხედიდან ყოველწლიურად შეიძლება მივიღოთ სულ ცოტა 500 ფუნტი ე.წ. „აგურის ჩაი“ (кирпичный чай).

გამოკვლეული და კარგად შესწავლილია ჩაის კულტურის სარგებლიანობა და შემოსავლიანობა. ესეა საკითხი დგას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ჩემი რწმენით პირველ რიგში აუცილებელია მთლიანი ჩაის ოლქში მთავარი, ცენტრალური ფაბრიკის ორგანიზება, რომელშიც წარმოებულ იქნება ყველა ტექნიკური სამუშაოები დაწყებული პლანტაციებიდან მწვანე ფოთლის მიღებით და დასრულებული მზა ჩაის აწონვით და დაფასოებით, დეკუსტატორის კაბინეტის ჩათვლით. ეს საჭიროა იმისათვის, რომ მთავარი ფაბრიკა იყოს საჩვენებელი უფასო სკოლა იმ პირთათვის, ვისაც სურვილი აქვს ჩაის საქმის შესწავლისა. მხოლოდ ამ მეთოდით შეიძლება უხეში, კუსტარული წესებით ჩაის წარმოების აღმოფხვრა. ამ გზით შეიძლება ქვეყანაში ჩაის ხარისხის

ამაღლება. ყველასთვის კარგად ცნობილია, რომ ბოლო წლებში შეირყვნა კავკასიური ჩაის ავტორიტეტი, რადგან ბაზრობაზე სახლის პირობებში მომზადებული ჩაი გაიტანეს. მათ არც კი გააჩნიათ ელემენტარული მოწყობილობა (გამოსაშრობი ღუმელი) და ეყრდნობოდნენ მხოლოდ მზიან ამინდს, რომელიც აქ ცვალებადი და ჭირვეულია.

სასურველი იქნებოდა თუ სტუდენტებს, განსაკუთრებით კი პლანტატორებს ფაბრიკასთან არსებულ ჩაის სკოლაში ასწავლონ ჩაის მომზადებას კუსტარული წესებით, რომელიც ფართოდ გავრცელებულია ჩინეთში, რათა მათ სურვილის შემთხვევაში შეეძლოთ ნამდვილი ჩაის მომზადება სახლის პირობებში. გარდა ამისა, ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ ყველა, ვინც კარგად იცის კუსტარულ წარმოება, ის ადვილად გაუგებს ფაბრიკულ წარმოებას. დროთა განმავლობაში კერძო მეწარმეებისათვის უნდა ხელმისაწვდომი უნდა გახდეს სპეციალური ხელის მანქანები, სპეციალური ჩინური ღუმელი დახარისხებისა და კუსტარული ჩაის წარმოებისათვის.

მაგრამ ჩაის საქმის სრული განვითარებისა და სრულყოფისათვის რა თქმა უნდა არაა საკმარისი მხოლოდ გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნის მიღება. აუცილებელია ფართოდ და ყოველმხრივ გაცნობა მრეწველობის ამ დარგისა, რომელიც თავის სამშობლოში, კერძოდ ინდოეთსა და ჩინეთში, ბოლო წლების განმავლობაში არ გაჩერებულა ერთ პოზიციაში. პირიქით, არის ბევრი ინოვაციები და გაუმჯობესებები. ამიტომ სასურველი იქნება თუ მივიღებთ გაუშვებთ სპეციალურ ექსპედიციას შორეულ აღმოსავლეთში, რათა დეტალურად გაეცნონ ამ საქმეს, რათა ნაწილობრივ მაინც შეისწავლონ „აგურის ჩაის“ წარმოება. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელია მტკიცედ მივიყვანეთ ქვეყნისათვის საინტერესო და სასარგებლო ეს საქმე სრულყოფისაკენ.

რა თქმა უნდა, ჩაის მთელ ოლქში არაა საკმარისი ერთი დიდი მთავარი ფაბრიკის არსებობა. ფართობი, რომელიც პლანტაციებს აქვს მოცული, საკმაოდ დიდია და უნდა ვიფიქროთ, რომ დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაფართოვდება. ამისათვის უნდა გაიხსნას მთავარი ფაბრიკის განყოფილებები - რაიონებში, უფრო ზუსტად კი, ყოველ 50-100 ასეულ პლანტაციის ფართობზე თითო პატარა ფაბრიკა. ასეთ ფაბრიკაში შესაძლებელი იქნება ჩაის ფოთლების ნაწილობრივ დამუშავება, წარმოების პირველი საფეხურის შესრულება ე.წ. „მაუ-ჩა“ ანუ ნახევრად მომზადებული ჩაი, რომელიც არ ფუჭდება რამოდენიმე დღე. ასე ნახევრად მომზადებული პროდუქტის ცენტრალურ ფაბრიკაში გადასამუშავებლად გადატანა ადვილია. რამოდენიმე ცალკეული ფაბრიკის გახსნა ასევე იმიტომ არის საჭირო, რომ როგორც ცნობილია, პლანტაციიდან მოკრეფილი მწვანე ფოთლები ძალიან სათუთია და ვერ უძლებს დიდხანს გაჩერებას დამუშავების გარეშე. საკმარისია 2-3 საათი, რომ ის გაფუჭდეს (გადაიწვას, გახმეს). საუკეთესო შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მისგან ცუდი ხარისხის პროდუქტის დამზადება, ხშირ შემთხვევაში კი მისი გადაყრა ხდება.

რაც შეეხება ჩვენი ჩაის ფოთლების ხარისხის გაუმჯობესებას, ამის მიღწევა შესაძლებელია ძირითადად ჩაის ფოთლების სწორად მოკრეფით, კერძოდ ახალგაზრდა ორი, მაქსიმუმ 3 ყლორტით. ბოლო წლებში, ქვეყანაში ჩაის მწვავე კრიზისის დროს დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა ჩაის მოსავალის რაოდენობას და არა ხარისხს. ამიტომ ხდება ჩაის არასწორი წარმოება. იკრიფება 4-5 და უფრო მეტ ყლორტიანი ფოთოლი, რის

შედევადაც, ბუნებრივია პროდუქტი გამოდის უხარისხო და უხეში. გარდა ამისა, ჩაის ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია ტექნიკური სიახლეების დანერგვით, რის შესახებაც დროულად უნდა განგაცხადო.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ ყოველი მემკვიდრე ფართობის ჩაის პლანტაციის მოვლისათვის (რა თქმა უნდა, უკვე მზა, დარგული) საჭიროა ყოველწლიურად ორი ადამიანი, რომელთაც სამუშაო ეყოფათ მთელი წლის განმავლობაში. მაგრამ გამოცდილებამ ასევე მაჩვენა, რომ არაა საკმარისია მუშახელის რაოდენობა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩაის პლანტაციის ფართობების გაზრდისას ყურადღება მიექცეს ამ საკითხს, კერძოდ: - მუშახელის რაოდენობის გაზრდა და მუშათა მოწვევა უნდა მოხდეს სხვა ახლომდებარე რეგიონებიდან - ცხოვრებისთვის მეტნაკლებად კომფორტული პირობებითა და ანაზღაურებით. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ პლანტაციებში მუშაობისას, განსაკუთრებით მოსავლის აღების დროს, საჭიროა ქალებისა და ახალგაზრდების შრომა.

ჩაის მრეწველობას, როგორც მხარეში ერთ-ერთ ძირითად დარგს, უდაოდ უნდა მიეცეს ფართო განვითარების შესაძლებლობა.

სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს ჩაის საქმის სრულყოფის საკითხის დასმას. ამ სფეროში ჩემი 30 წლიანი უწყვეტი მოღვაწეობა უფლებას მაძლევს მოკლედ გადმოვცე ჩაის მრეწველობასთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები. იმედს ვიტოვებ, რომ ჩემი ეს მიმართვა სარგებლობას მოუტანს სახალხო მეურნეობის ამ ახალი დარგის შემდგომ წარმოებასა და განვითარებას.

*ჩაქვის სახალხო მამულის ჩაის
ფაბრიკის ხელმძღვანელი
ლაუ ჯონ ჯაუ*

*ჩაქვი
31 ოქტომბერი, 1923 წელი.*

ასს ცსა, ფონდი რ-4, ან.1, საქმე 49. ფურც.12-18.

ანგარიში

აჭარისტანის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის მოქმედების შესახებ ა/წ. 20 ივლისიდან ა/წ. 20 აგვისტომდე

საქმეთა მმართველობა

უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა ყველა განყოფილებათა მუშაობას საანგარიშო თვეში უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა კომისარიატისთვის:

- I. აჭარისტანში ცხოველების აღდგენის მიზნით კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა ცხოველების მომშენებელ განყოფილების დაარსების შესახებ სახელმწიფო ცხენების გასამრავლებელ ქვე-განყოფილებით.
- II. სამუშაო მიწის და საბალახო ადგილების სარგებლობის ირგვლივ ამტყდარ დავის მოწესრიგება.
- III. და უმთავრესათ აღრიცხვაზე აღებულ კულტურულ აგარაკების საქმეების ხელახლად გადასინჯვა სპეციალურ კომისიის მიერ, იმის და გამოსარკვევად თუ რამდენად კანონიერად იყო ამა თუ იმ აგარაკების გაეროვნება.

სატყეო განყოფილება.

პირდაპირ მის დანიშნულების მიხედვით ზედამხედველობას უწევდა ტყის დაცვას და აგრეთვე უშვებდა ხე-ტყის მასალებს, როგორც ადგილობრივ მცხოვრებთა ოჯახურ საჭროებისათვის, აგრეთვე მრეწველობის მიზნითაც.

როგორც იყო წინა საანგარიშო თვეში ნაჩვენები განყოფილება ყოველ საშუალებას ხმარობდა განესაზღვრა სახაზინო ტყეები არა სახელმწიფო მნიშვნელოვან ტყეებისაგან, ატარებდა ცხოვრებაში სამთო საბალახოების რეფორმას და შეადგინა პროექტი ხის დასამუშავებლად სახელოსნოს და სახერხავების აუცილებელ საჭიროებაზე.

პირველი საკითხი ჯერ-ჯერობით სპეციალურ კრედიტის გაუხსნელობის გამო სავსებით არ არის მოთავებული, გამორკვეულია საბალახოების სივრცე და დაყოფილია ორ რაიონად, რომლის საშუალებით გადასახადების აკრეფა დადებითად იქნა მოგვარებული.

საკითხი ხის დამზადებელ და სახერხავ ქარხნის მოწყობის შესახებ ჯერ-ჯერონით არის ღიათ ვინაიდან საბოლოო დასტურისათვის პროექტი არის წარდგენილი მუშგლეხინში.

ტყის მნიშვნელობაზე და მის მოვლა დაცვაზე იყო გამოსული სატყეოს გამგეების მხრივ პერიოდული საუბარი სხვა და სხვა სოფლის ფართო კრებებზე.

მზადდება ტყეების შესანარჩუნებელი პროექტი ცხოვრებაში გასატარებლად.

ვინაიდან საქმის ექსპლუატაციის სეზონათ უნდა ჩაითვალოს თვის დასაწყისი, ამისათვის ამ თვეში შემოსავალი საკმაოდ აღემატება წინა თვე-

ების შემოსავალს შემოსულია სულ 3.709.849.000 მან. გასავალი კი საოპერაციო ხარჯებისათვის სრულებით არ არის საანგარიშო თვეში.

სავეტერინარო განყოფილება.

სავეტერინარო განყოფილების მუშაობა საანგარიშო თვის განმავლობაში უმთავრესად შეადგენდა ეპიდემიასთან ბრძოლას.

- I. ძირითადი დანიშნულების მიხედვით ვეტ. სანიტარული განყოფილება ზედამხედველობას უწევდა ადგილობრივ სასოფლო სამეურნეო საქონელს.

ზედა აჭარის საძოვარ მთებზე საანგარიშო თვის განმავლობაში ვეტ. პერსონალის საშუალებით იყო მოსპობილი თურქული და საქონლის ჭირი; ამ თვის განმავლობაში მთებზე იყო აცრილი ციმბირის ჭირის ვაკცინებით 1.350 თავი საქონელი.

- II. წამლობითი საშუალება პირუტყვთ სამკურნალოში.

ა/ პირუტყვთა სამკურნალოში მთელი თვის განმავლობაში მიღებულია

1. ამბოლატორიულად - 131 ავათმყოფი პირუტყვი
2. სტაციონალურად - 18 „ - - - - “

ბ/ ოპერაცია იქნა გაკეთებული - 36 „ - - - - “

ამას გარდა სამკურნალოში იყო პატალოგი ანატომიური გაჭრა 3 ცხენისა და 8 ძაღლისა. ძაღლების გაჭრამ დაამტკიცა ცოფით ავადმყოფობა. დაკბენილნი საექიმოს დახმარების მისაღებათ გაიგზავნა ქ. თბილისში პასტერის სადგურზე.

- III. ვეტერნარ-სანიტარული ზედამხედველობა სავაჭრო სამრეწველო საქონელზე.

ა/ საანგარიშო თვეში დახედულია მსხვილ რქოსანი საქონელი 765 თავი, წვრილ რქოსანი საქონელი 992 თავი, ღორები - 13.

ბ/ აღებული არის საპროცენტო გადასახადი 5.227.812.000 მან.

- IV. ვეტერნარ-სანიტარული ზედამხედველობა ნედლ პირუტყვ შემოტანილ და გატანილ სანოვაგეზე.

ა/ გაიგზავნა თბილისის და ქუთაისის მაზრებში სულ 346 ფუთი ნედლი ტყავები, 121 ფუთი მატყლი.

ბ/ საზღვარ გარეთ იქმნა გატანილი 2.720 ფუთი ნედლი ნაწლები.

გ/ რუსეთში იყო გაგზავნილი 3.450 ფუთი რქები და 2.500 ფუთი ფლოქები.

აგრარულ სასოფლო სამეურნეო განყოფილება.

საანგარიშო თვეში განყოფილებას უმთავრეს სამუშაოს წარმოადგენდა გაეფართოებია სასოფლო სამეურნეო საწყობის საქმიანობა. შეიძინა სასოფლო სამეურნეო იარაღები და დაგზავნა სხვა და სხვა აგრონომიულ პუნქტებში მცხოვრებთა დასახმარებლად. ყავდა დაგზავნილი ადგილობრივ აგრონომიულ პუნქტებში სპეციალური ინსტრუქტორები საჭირო ღირეკტივების დარიგების მისაცემათ. კრეფდა პერიოდულ ცნობებს მოსავლის მდგომარეობაზე და ღებულობდა ზომებს მავნე ჭია-ღუასთან საბრძოლველად.

შეიძინა მანდარინების დასაცავი წამლეულობა და შეღავათიან ფასებში აწვდიდა ადგილობრივ მცხოვრებთ. აძლევდა ცხრილს და გეგმებს რაიონულ აგრონომებს ხალხში ფართო აგიტაციის გასაწევად სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეში.

უმეტეს ყურადღებას აქცევდა აჭარისტანში მეფუტკრეობის საქმის სწორ ნიადაგზე დაყენებას, რომლის საჭიროებისათვის შეძენილია მრავალი ბუკები სკით ხალხში გასავრცელებლად.

სახელმწიფო საფონდო მამულების განყოფილება.

კონტროლს უწევდა საბჭოთა მამულების მუშაობას და აძლევდა დირექტივებს მიმდინარე სამუშევართა ასრულებაში.

განყოფილება მიმდინარე თვეში თვალყურს ადევნებდა, რათა სეზონის განმავლობაში გაქირავებულ აგარაკების ბინების შემოსავალი უკლებლათ იქნეს აკრეფილი. ღებულობდა მთავარ მონაწილეობას იმის და გამოსარკვევად, თუ რა საბამით იქნა აღებული ეს თუ ის აგარაკი გასაეროვნებლად. ნაკვეთების სარგებლობაზე ამტყდდარ დავას აგვარებდა ადგილობრივ თვითმართველობასთან შეთანხმებით.

საჭირო ყურადღებას აქცევდა უპატრონოდ დარჩენილ აგარაკების ყოველგვარ ინვენტარის და ავეჯეულობის დაცვას. შეადგინა შესაფერისი პროექტი ავეჯეულობის აღრიცხვაზე ასაღებათ, აღმოაჩინა რამოდენიმე შემთხვევა უპატრონო მიტოვებულ აგარაკების ვინმეების მხრივ უკანონო დაპატრონებაზე და აღმოაჩინა გადამალული ავეჯეულობა.

საიჯარო გადასახადთა სექცია.

საანგარიშო თვეში შემოსავალი გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

საფონდო მამულების აგარაკებიდან 379.580.000 მან

სეზონის განმავლობაში აგარაკების

გაქირავებულ ოჯახებიდან 49.580.000 მან.

კულტურულ ნაკვეთებიდან

საიჯარო გადასახადი 14.110.000 მან.

სათევზე საქმიდან 6.600.000 მან.

სულ 450.000.000 მან.

ასსცსა, ფონდი რ-4
ანაწ.1, საქმე 37.
ფურც. 30-31

ქრონიკა

აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში 2013 წლის 19 აპრილს „ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტთან“ არსებულ პროფესიული კოლეჯის სტუდენტებს ჩაუტარდათ ექსკურსია-გაკვეთილი. ახალგაზრდები გაეცნენ: არქივის სპეციფიკურ საქმიანობას-მკვლევარებთან ურთიერთობას; სამეცნიერო სახის საქმიანობას; დოკუმენტების დიგიტალიზაციის, მასალების ციფრული ვერსიის შექმნისა და საბოლოოდ არქივის ინტერნეტმისაწვდომობის გეგმებსა და თავისებურებებს; არქივის ლაბორატორიის მუშაობას; კანცელარიაში მოქალაქეებებთან ურთიერთობას; დაათვალიერეს არქივსაცავები.



* * *

2013 წლის 1 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს ეწვია ბრიტანელი მკვლევარი **რობერტ ლ.ჯერმენი**. საუბარი შეეხო ბრიტანეთის არქივებში საქართველოს შესახებ დაცული მასალების შემდგომი კვლევა-ძიების გადრმაგების გზებსა და შესაძლებლობების ძიების საკითხებს.



* * *

2013 წლის 24 მაისს საარქივო სამმართველოში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. საზეიმო სხდომა გახსნა და ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა სამმართველოს უფროსი

გ.სალაძე. მოხსენებით გამოვიდნენ: საარქივო სამმართველოს დიგიტალიზაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი დავით ხალვაში, სამმართველოს საფინანსო-საბუღალტრო განყოფილების მთავარი სპეციალისტი იზა ბაუჟაძე და სამმართველოს ეროვნული საარქივო ფონდის აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების უფროსი მაია რურუა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სამმართველოში მყოფმა სტაჟიორებმა. მოეწყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი წერილობითი და ფოტოდოკუმენტების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო დამოუკიდებლობის აქტის, დამფუძნებელი კრების, პირველი პრეზიდენტის და იმჟამინდელი მთავრობის სხვა წარმომადგენლების ფოტოსურათები, დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებული სხვა წერილობითი ფოტოდოკუმენტები. დასასრულს ნაჩვენები იქნა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სლაიდშოუ და დოკუმენტური ფილმი.



* * *

2013 წლის 1 ივნისს, ბავშთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს თანამშრომლები იმყოფებოდნენ ქ. ბათუმის განათლების და დასაქმების ცენტრთან არსებულ საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში. საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს საჩუქრად გადასცეს ლეპტოპი, ტებილეული და სხვადასხვა სახის საჩუქრები.



* * *

2013 წლის 20 ივნისს სოფიაში (ბულგარეთი) ხელი მოეწერა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოსა და სოფიის წმინდა კირილეს და მეთოდეს სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. აღნიშნულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს: გურამ სალაძემ (აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფროსი) და ბორიანა ქრისტოვამ (სოფიის კირილეს და მეთოდეს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი). ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდნენ: ბუღგარეთში საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ირინე ბურდული, საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე ჯაბა ბერიძე და საზოგადოებასთან, მასმედიასთან, საზღვარგარეთთან ურთიერთობის, დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილების უფროსი თამაზ ფუტყარაძე.



* * *

2013 წლის 2 ივლისს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში ჩატარდა ბუღგარეთის ეროვნული არქივიდან ჩამოტანილი ისტორიული დოკუმენტების პრეზენტაცია.



* * *

2013 წლის 26 ივლისს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში ჩატარდა ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე სამსონიას პირადი ფონდის მიმოხილვასთან დაკავშირებული ღონისძიება, რომელიც მისი 80 წლის იუბილეს დაემთხვა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მწერლის მეგობრები და თანამოკალმეები: ალექო ჩხარტიშვილი (ბათუმის საკრებულოს დეპუტატი), რამაზ სურმანიძე, დავით თედორაძე, ზურაბ ფირცხალაიშვილი, ვახტანგ ღლონტი, შოთა ზოიძე, უუქუნა ხაჯიშვილი, ანა დუნდუა და სხვები. ღონისძიებას ესწრებოდა აგრეთვე ალი სამსონიას და ქალბატონი ლია სამსონია.

ღონისძიება გახსნა და მონაწილეებს მიესალმა აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი გურამ სალაძე. ალექსანდრე სამსონიას პირადი ფონდი მიმოიხილა საარქივო სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა იზა ბაუჟაძემ. მწერლის შემოქმედებისა და მისი გამორჩეული პიროვნული თვისებების შესახებ ისაუბრეს ცნობილმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: რამაზ სურმანიძემ და ბადრი თევზაძემ.

ღონისძიების პარარელურად მოეწყო ალი სამსონიას წიგნების, პირადი ფონდისა და ფოტო მასალების გამოფენა. დასასრულს ნაჩვენები იქნა, დოკუმენტური ფილმი „ალი სამსონია“ (ავტორი ზურაბ ფირცხალაიშვილი; აჭარის ტელევიზია, 2005 წელი).



* * *

2013 წლის 15-16 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში ჩატარდა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 135 წლისთავისადმი მიძღვნილი III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო: ისტორია, არქეოლოგია და ეთნოლოგია“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ბულგარეთის, სომხეთის, ავსტრიის, ასევე ქუთაისის ცენტრალური არქივის, ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აჭარის საარქივო სამმართველოს წარმომადგენლები.

კონფერენცია გახსნა და მონაწილეებს მიესალმა აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი გურამ სალაძე. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: თამაზ ფუტკარაძე, ელგუჯა გოგიბერიძე, მარიანა პისკოვა, გრიგოლ აღანიანი. კონფერენციაზე წაკითხული იქნა 30-ზე მეტი მოხსენება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის საკითხებზე. კონფერენციის მსვლელობის პარალელურად მოეწყო რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ ომის ამსახველი ფოტო გამოფენა.



* * *

2013 წლის 21 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საარქივო სამმართველოსა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს შორის. მემორანდუმს ხელი მოაწერეს: სამმართველოს უფროსმა გურამ სალაძემ და ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ერმილე მესხიამ.



* * *

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი საქართველოში ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროგრამული ბიუჯეტირების პროექტს. ამ მიზნით 2013 წლის 3 სექტემბერს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოში შედგა შეხვედრა არქივის თანამშრომლებსა და საკონსულტაციო კომპანიის ექსპერტებს შორის. შეხვედრაზე განხილული იქნა 2014 წლის არქივის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი, რომლის განხორციელების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა დაჩქარებულ ვადებში.

შეხვედრას ესწრებოდნენ (USAID) საკონსულტაციო კომპანიის ექსპერტები და აჭარის არ უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები: გიორგი ჯერენაშვილი – სახელმწიფო სექტორის კონსალტინგ დირექტორი, ირაკლი

ხმალაძე - პროგრამული ბიუჯეტის ექსპერტი, პაატა ჩაგანავა - PMCG კონსულტანტი, ეკატერინე თარგამაძე - უმაღლესი საბჭოს წევრი; სულიკო ფუტყარაძე - უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის აპარატის უფროსი.

* * *

2013 წლის 24 სექტემბერს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს ტერიტორიული ორგანო- შუახევის არქივში ჩატარდა დამსახურებული არქივისტის ნაზი ხიმშიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: ნაზი ხიმშიაშვილის ოჯახის წევრები, ახლობლები, მეგობრები, საარქივო სამმართველოს თანამშრომლები, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს წარმომადგენლები.

ღონისძიება გახსნა და მონაწილეებს მიესალმა აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი გურამ სალაძე.

მოსხენებებით: „ნაზი ხიმშიაშვილის ბიოგრაფიიდან“, „ნაზი ხიმშიაშვილი როგორც არქივისტი“, „ნაზი ხიმშიაშვილი-პოეტის დაუსრულებელი პორტრეტი“, გამოვიდნენ: მარინა გოგიტიძე (ტერიტორიული ორგანო-შუახევის არქივის უფროსი), ქეთი მიქელაძე (საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი), ზურაბ ზოიძე (შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე).

ნაზი ხიმშიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოგონებებით გამოვიდნენ: თამაზ ფუტყარაძე, ოთარ ცინარიძე, იამზე ზოიძე, ვასო ხიმშიაშვილი, შაქრო ხიმშიაშვილი, ტარიელ ებრაღიძე, იური ქათამაძე, ამირან ხიმშიაშვილი, მზია ხიმშიაშვილი.


შუახევის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს მისი ლექსები.

ღონისძიების დასასრულს ნაჩვენები იქნა ნაზი ხიმშიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოკოლაჟი.



* * *

გამოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს პერიოდული, სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალის - „არხეიონის“- მეექვსე და მეშვიდე ნომრები. VII ნომერი მთლიანად ეძღვნება არქივის დაარსების 90-ე წლისთავს.




* * *

გამოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში ჩატარებული აჭარის დედამშობლოსთან დაბრუნების 135 წლისთავისადმი მიძღვნილი III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია, არქეოლოგია და ეთნოლოგია“- მასალების კრებული.

* * *

2013 წლის 25 დეკემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში ჩატარდა საზეიმო შეხვედრა საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან: ამირან კახიძესთან, ნოდარ ბარამიძესთან, ბიჭიკო დიასამიძესთან, ნოდარ კახიძესთან.



საზეიმო შეხვედრა გახსნა და მონაწილეებს მიესალმა აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე თენგიზ საღუქკაძე. მოწვეულ სტუმართა ღვაწლისა და დამსახურების შესახებ ისაუბრა საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის პუბლიკაციის და გამოყენების განყოფილების უფროსმა თამაზ ფუტყარაძემ. სტუმრებს მიესალმნენ: საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივის უფროსი ელგუჯა გოგობერიძე, პოეტები: ვახტანგ ღლონტი, ანა დუნდუა, დავით თედორაძე, მწერალი რამაზ სურმანიძე, საარქივო სამმართველოს

თანამშრომლები: ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, დოდო შუმანიძე.
ლონისძიების დასასრულს ნაჩვენები იქნა სლაიდშოუ.



* * *

მიმდინარე წლის 7 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში ჩატარდა არქივის 90 წლისთავისადმი, არქივისტის, დედისა და ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, უმაღლესი საბჭოს და საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები.


არქივის დაარსების 90 წლისთავი, არქივისტის პროფესიული დღე და გაზაფხულის დღესასწაულები, არქივის თანამშრომლებს მიულოცეს საარქივო სამმართველოს უფროსმა გურამ სალაძემ, უმაღლესი საბჭოს თავჯდომარემ ავთანდილ ბერიძემ, აჭარის განათლებისა და სპორტის მინისტრმა გია თავაძემა, საზღვარგარეთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა თამაზ ფუტყარაძემ, ცენტრალური არქივის სამსახურის უფროსმა ელგუჯა გოგიბერიძემ და სხვებმა. საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყვნენ აგრეთვე ვეტერანი არქივისტები: ემელიანე ნაკაშიძე, თალიკო შეყილაძე, სერგო ტაბაძე, ნანა კუჭაშვილი, ჟუჟუნა რომანაძე, გუგული იმედაიშვილი. გამორჩეული და ასევე ვეტერანი არქივისტები დაჯილდოვდნენ საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელებით, ხოლო ღონისძიებაში მონაწილე ქალბატონებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში მოეწყო საარქივო სამმართველოს დაარსებასთან დაკავშირებული ფოტო და წერილობითი დოკუმენტების, არქივის სამეცნიერო გამოცემების, არქივში დაცული ძველი ხელნაწერების და კოლექციების, ასევე არქივის ცხოვრების ამსახველი და ძველი ბათუმის ფოტოების გამოფენა.

დასასრულს ნაჩვენები იქნა სლაიდშოუ.



2014 წ. 30 აპრილს ბათუმში, ღია ცის ქვეშ, კაფე „სანაპიროს“ მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა წიგნის „მოგზაურობა ძველ ბათუმში“ პრეზენტაცია.

წიგნში შესულია ძველ ბათუმთან დაკავშირებული სტატიები და ფოტომასალა. სხვა მასალებთან ერთად მასში განთავსდა საარქივო დოკუმენტების საფუძველზე მომზადებული ნაშრომები (ავტორი- საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ფრიდონ ქარდავა), რომლებიც წლების მანძილზე იბეჭდებოდა გაზეთში - „ბათუმელები“.



* * *

2014 წლის 20 ივნისს, აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში მოეწყო ცნობილი მეცნიერის ოთარ თურმანიძის წიგნის „აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921-1940)“ განხილვა. ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პროფესორები: სერგო ტაბაღუა, სერგო დუმბაძე, რამაზ სურმანიძე, ოთარ გოგოლიშვილი, მერაბ მეგრელიშვილი, გელა მამულაძე, ჯემალ ვარშალომიძე, ნოდარ ბარამიძე.

ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და პუბლიკაციის და გამოყენების განყოფილების უფროსი პროფესორი თამაზ ფუტყარაძე.

მოხსენებებით: „პოლიტიკური ისტორიის საკითხები ო. თურმანიძის შრომებში“ და „ეკონომიკური ისტორიის საკითხები ო. თურმანიძის შრომებში“ - გამოვიდნენ პროფ. მ. მეგრელიშვილი და პროფ. გ. მამულაძე. სიტყვით გამოვიდნენ: საარქივო სამმართველოს სამსახურის უფროსი ე. გოგობერიძე, აპარატის უფროსი ე. ჩაგანავა, პროფესორები: რ. სურმანიძე, ს. ტაბაღუა, ს. დუმბაძე, ო. გოგოლიშვილი. წიგნის ავტორმა პროფ. ო. თურმანიძემ თავის საპასუხო სიტყვაში პასუხი გასცა მომხსენებლების მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და აუდიტორიაში დასმულ შეკითხვებს და მადლობა გადაუხადა საარქივო სამმართველოს წიგნის, განხილვისა და გულთბილი შეხვედრისათვის.

ღონისძიების პარალელურად მოეწყო ოთარ თურმანიძის წიგნების გამოფენა.



* * *

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს თანამშრომლები მიმდინარე წლის 5 ივლისს იმყოფებოდნენ ტრაპიზონსა და ტრაპიზონის პროვინციის მაჩკას ოლქში მართლმადიდებლური სამლოცველოებისა და ბერძნული სამონასტრო კომპლექსების მოსანახულებლად, მათ შესახებ თურქულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულებების გაცნობისა და გააზრებისათვის. არქივისტებმა დაათვალიერეს ზიგანას ქედის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში, კლდოვანი მასივის ზედა ნაწილში, მდინარის ზედაპირიდან 270 მეტრის სიმაღლეზე მდებარე **სუმელას მეოთხე საუკუნის უნიკალური სამონასტრო კომპლექსი**, რომელიც ალტინდერეს ეროვნულ პარკშია მოქცეული და შესაბამისად დაცული ტერიტორიას წარმოადგენს. სავარაუდოდ, ტრაპიზონის იმპერიის არსებობის ხანაში ამ მონასტერში ქართველი ბერებიც დადიოდნენ. ნიშანდობლივია, რომ მკვლევართა ნაწილი ტოპონიმ „სუმელა“-ს ქართულ შესატყვისად „სამება“-ს მიიჩნევს. არქივისტებმა ტრაპიზონში დაათვალიერეს აგრეთვე მეჩეთად ქცეული მცირე აია სოფიის ტაძარი და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

* * *

2014 წლის 10 ივლისს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროკავშირის ელჩი საქართველოში ფილიპ დიმიტროვი შეხვდა უნივერსიტეტისა და საარქივო სამმართველოს თანამშრომლებს. ელჩმა დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება. მან ისაუბრა იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელზე, რასაც საქართველო მიიღებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ევროკავშირის ელჩმა ამომწურავი პასუხი გასცა აგრეთვე დასმულ შეკითხვებს.

* * *

2014 წლის 7-11 ივლისს საქართველოს ეროვნული არქივის თანამშრომლებმა: ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსმა დალი ეჯიბიამ და ამავე განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა თინათინ ნერგაძემ აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს თანამშრომლებისათვის ჩაატარეს ტრენინგები.

* * *

2014 წლის 18 ივლისს საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო ქობულეთის არქივში ჩატარდა ქართული წიგნის „ქომაგის“, ქართული ხელნაწერების ჭირისუფალის, მაჰმადიანი ქართველების გულშემატკივრის ზაქარია ჭიჭინაძის დაბადებიდან 160 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება. ღონისძიებას საარქივო სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად ესწრებოდნენ ზაქარია ჭიჭინაძის თანამოაზრეების - გულო კაიკაციშვილისა და დედე ნიჟარაძის შთამომავლები: კუკური კაიკაციშვილი, ნინო ინაიშვილი, ნუკრი ნიჟარაძე, ნიჟარაძეების ოჯახის რძალი თამარ (ბესირე) ინაიშვილი.

მოსხენებებით: „ზაქარია ჭიჭინაძე - ცხოვრება და ღვაწლი“; „ზაქარია ჭიჭინაძე - აჭარის გულშემატკივარი“; „ზაქარია და ქობულეთელები“ - გამოვიდნენ: საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობებისა და პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების უფროსი თამაზ ფუტკარაძე, საარქივო სამმართველოს ტერიტორიული ორგანო-ქობულეთის არქივის უფროსი ნოდარ ზაქარიაძე, სამმართველოს ტერიტორიული ორგანო-ქობულეთის არქივის მთავარი სპეციალისტი მზია კეკელიშვილი.

ზაქარია ჭიჭინაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი წლები გაიხსენეს: სულხან ოქროპირიძემ, კუკური კაიკაციშვილმა, ნინო

ინაიშივლიმა. უუუუნა რომანაძემ, ნარგიზ რომანაძემ, საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივის უფროსმა ელგუჯა გოგიბერიძემ. დასასრულს ნაჩვენები იქნა სლაიდშოუ. ღონისძიების მონაწილეებმა გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.



* * *

2014 წლის 21 აგვისტოს, საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო -ხელვაჩაურის არქივში ჩატარდა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ ოთხტომეულის პრეზენტაცია.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები: ემერიტუსი პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე, აკადემიური დოქტორები: ოლეგ ჯიბაშვილი, სიმონ გოგიტიძე, უჩა ოქროპირიძე; ოთარ გოგოლიშვილი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ამირან კახიძე - ემერიტუსი პროფესორი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აგრეთვე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლები: ასლან კახიძე – საკრებულოს თავმჯდომარე, ჯუმბერ ვარდმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მერაბ ვარშალომიძე - რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი, შორენა ფაღავა - ახალგაზრდულ საკმეთა განყოფილების უფროსი, დავით საფარიძე - საკრებულოს განათლების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ღონისძიება გახსნა და მონაწილეებს მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ ცინცკილაძე.

მოხსენებებით: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო უძველეს დროიდან V საუკუნემდე“; „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო შუა საუკუნეებში (V-XVIII სს); „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1878-1920 წლებში“; „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1920-იანი წლებიდან 1990-იან წლებამდე“ გამოვიდნენ პროფესორები: ამირან კახიძე, ბიჭიკო დიასამიძე, ოთარ გოგოლიშვილი, უჩა ოქროპირიძე.

სიტყვით გამოვიდნენ: თამაზ ფუტყარაძე, ასლან კახიძე, ჯუმბერ ვარდმანიძე, ელგუჯა გოგიბერიძე.

მომხსენებლებმა და სიტყვაში გამომსვლელებმა მოკლედ მიმოიხილეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები, ხაზი გაუსვეს საპრეზენტაციოდ წარმოდგენილი ოთხტომეულის აკადემიური გამოცემის მნიშვნელობას და იმ ადამიანების ღვაწლსა და დამსახურებას, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს მის მომზადებასა და გამოცემაში. გამომსვლელებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის თარგმნა რუსულ, თურქულ, ინგლისურ ენებზე და დასვეს მისი სახელმწიფო პრემიაზე წარდგენის საკითხი.

ღონისძიების დასასრულს მონაწილეებმა გადაიდეს სამახსოვრო ფოტოები.



* * *

მიმდინარე წლის 15 სექტემბერს, საარქივო სამმართველოს სამკითხველო დარბაზში მკვლევარად დაიწყო მუშაობა იონიის უნივერსიტეტის (საბერძნეთი; კ.კორფუ) ფილოსოფიის დოქტორმა ათინა ვიტოპულუმ. ქალბატონ ათინას საკვლევი თემაა ბათუმის ურბანული განვითარება და არქიტექტურა (1850-1920 წწ). ქალბატონ ათინას მუშაობაში ეხმარება

(ენობრივ ბარიერთან დაკავშირებით) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი ქალბატონი ეკა ჭყოიძე. ქალბატონი ეკა თავის მხრივ, ასევე მუშაობს თემაზე ბათუმი (პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები) 1878-1921 წლებში.

* * *

2014 წლის 5 სექტემბერს, საარქივო სამმართველოს ესტუმრა ბლავგოვევრადის (ბულგარეთი) ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი დელეგაცია პროფესორების მარიანა პისკოვასა და მილენა ანგელოვას შემადგენლობით. საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელობასთან გაიმართა საქმიანი შეხვედრა და საუბარი. ქალბატონმა მაია ივანიშვილმა სტუმრებს მადლობა გადაუხადა იმ თანადგომისა და მხარდაჭერისათვის, რაც გამოიხატა სოფიისა და ბლავგოვევრადის არქივებსა და აჭარის საარქივო სამმართველოს შორის, საარქივო და სამეცნიერო ურთიერთობათა განმტკიცების თვალსაზრისით. საუბარი შეეხო აგრეთვე სოფიის ბიბლიოთეკიდან კავკასიის შესახებ დაცული დოკუმენტების ასლების შემოტანის და ოსმალური ენის სპეციალისტის მომზადების საკითხებსაც, რომელთა მოგვარებისათვის სტუმრებმა გამოხატეს მზადყოფნა. დასასრულს სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელობას გულთბილი მიღებისათვის და გადაიდეს სამახსოვრო ფოტოები.



* * *

2014 წლის 18-19 სექტემბერს, აჭარის საარქივო სამმართველოში ჩატარდა IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: სტამბოლისა და ინეგოლის (თურქეთი) კულტურის ცენტრის წარმომადგენლები-მუჰაჯირთა შთამომავლები, უკრაინის მეცნიერთა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის, ბელორუსიის კულტურის ცენტრის, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ფოლკლორის ინსტიტუტის, ასევე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის,

ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის, ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, ქუთაისის ცენტრალური არქივისა და აჭარის საარქივო სამმართველოს წარმომადგენლები.

კონფერენცია გახსნა და სტუმრებს მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი ქალბატონი მაია ივანიშვილი.

კონფერენციის მსვლელობის პარალელურად მოეწყო საარქივო სამმართველოს სამეცნიერო გამოცემათა გამოფენა.

კონფერენციის დასარულს სტუმრებისა და საარქივო სამმართველოს თანამშრომლებისათვის მოეწყო ექსკურსია.





ჩვენს კოლეგას საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობისა და დაკომპლექტება – დამუშავების მთავარ სპეციალისტს **ჯულიეტა პატარიძეს** შეუსრულდა დაბადებიდან 50 წლისთავი. 2014 წელი სხვა მხრივაცაა საიუბილეო ქალბატონ ჯულიეტასათვის. მიმდინარე წლის 17 სექტემბერს მას არქივში მუშაობის დაწყებიდან 30 წელი შეუსრულდა. ჯულიეტა პატარიძემ არქივში ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში გაიარა იერარქიული კიბის სხვადასხვა საფეხური და მიიღო უზარმაზარი გამოცდილება. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა არქივისტის, ფონდების მცველის, მთავარი სპეციალისტის, ცენტრალური სახელმწიფო არქივის ხელოვნებისა და ლიტერატურის საარქივო დოკუმენტების არქივსაცავის უფროსის თანამდებობებზე. ჯულიეტა პატარიძე არის მეორე კატეგორიის არქივისტი. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისა და დოკუმენტების მოვლა-პატრონობის საქმეში შეტანილი წვლილისათვის არქივისტის პროფესიულ დღესთან დაკავშირებით ჯულიეტა პატარიძე დაჯილდოვებულ იქნა საარქივო დეპარტამენტის საპატიო სიგელით და გამოეცხადა პრეზიდენტის მადლობა (2002-2003 წწ.).

საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელობა, მთელი კოლექტივი ულოცავს ჯულიეტა პატარიძეს ამ მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღებს და უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს პირად ცხოვრებაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ჩვენო ავტორები:

1. **თამაზ ფუტკარაძე** - აჭარის არ საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობებისა და პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების უფროსი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
2. **ნატო ქიქავა** - აჭარის საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
3. **ზაზა ბურკაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
4. **ტატიანა ნევსკაია** - ჩრდილო კავკასიის ფედერალური უნივერსიტეტის პროფესორი;
5. **ალლა სერდიუკი** - ბერდიანსკის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და სოციალური კომუნიკაციის ინსტიტუტის დირექტორი;
6. **თინათინ ჯაბადარი** - საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივის უფროსი სპეციალისტი;
7. **კამენ დონჩევი** - ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ფოლკლორისტიკის ინსტიტუტის მეცნიერ - თანამშრომელი;
8. **მერი კაიკაციშვილი** - ექიმი, მედიცინის აკადემიური დოქტორი;
9. **ლიუბოვ სოლოვოვა** - რუსეთის მენიციერებათა აკადემია;
10. **მისეილ ტიუგალოვი** - უკრაინის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი;
11. **ქეთევან იაკობაძე** - აჭარის საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
12. **ოთარ ფუტკარაძე** - ჟურნალისტი.

OUR AUTHORS:

1. **Tamaz Putkaradze** - – Ajara Archives Administration, head of foreign, public, media relations and publication and utilization department; professor of Batumi Shota Rustaveli State University;
2. **Nato Kikava** – main specialist of Ajara Archives Administration;
3. **Zaza Burkadze** – professor of Batumi Shota Rustaveli State University;
4. **Tatiana Nevskaya** – professor of Federal University of North Caucasia;
5. **Alla Sedriuk** – State pedagogical institute of Berdyansk, Ukraine; director of Philology and social communication institute;
6. **Tinatin Jabadari** – main specialist of contemporary history archives of National Archives of Georgia;
7. **Kamen Donchev** –researcher of Ethnology and Folklore institute of Bulgarian science academy;
8. **Meri Kaikatsishvili** – doctor, PhD;
9. **Liubov Soloviova** – Science Academy of Russia;

- 10. Mikheil Tiukalov** - graduate student of Institute of history of Ukraine, National academy of Sciences of Ukraine;
- 11. Ketevan Iakobadze** – main specialist of Ajara Archives Administration;
- 12. Otar Putkaradze** – Journalist.

სარჩევი:

1. თამაზ ფუტყარაძე - სოფიის სახელმწიფო არქივი.....	3
2. ნატო ქიქავა, ზაზა ბურკაძე - საქართველო-უკრაინის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი (საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით).....	12
3. Татьяна Невская - молчание женщин и культура «избегания» на Северном Кавказе. Молчание женщин на Северном Кавказе: Традиции и современность	21
4. Алла Сердюк - концепт «Цар» в Балгарской языковой картине мира.....	27
5. თინათინ ჯაბადარი - პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი.....	29
6. Камен Дончев – Болгарская традиционная культура и современности.....	35
7. მერი კაიკაციშვილი - „მე ხმას ვაძლევ საქართველოს“	39
8. Любовь Соловьева - Антропонимия тюркоязычных народов Северного Кавказа: женские имена туркмен Ставропольского края.....	44
9. თამაზ ფუტყარაძე - სიზმარში ნაპოვნი საქართველო (სტუმრად ინეგოლელ ჩვენებურებთან)	50
10. Тюкалов М.В. - Борьба за иракскую нефть и «мосульский конфликт» (1923-1926 гг.) в контексте «восточного вопроса».....	61
11. რეცენზია ქეთევან იაკობაძე, ოთარ ფუტყარაძე - მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში.....	68
12. საარქივო დოკუმენტური წყაროები.....	74
13. ქრონიკა.....	82
14. მილოცვა.....	97



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge